სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01-04/106 **ბრძანება** 16-10- 2020 ბ350

უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის №01-04/79 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. შევიდეს ცვლილება უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 15 სექტემბრის ბრძანებაში №01-04/79 15.09, უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის დისტანციური რეჟიმში წარმართვის შესახებ;
2. კორონა ვიირუსის პანდემიის გავრცელების საშიშროების რისკების შემცირების მიზნით, 2020-2021 სასწავლო წლის 19 ოქტომბრიდან უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა წარიმართოს შერეული სახით:
   ა. სალექციო პროცესი დისტანციურ რეჟიმში;
   ბ. პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები არადისტანციურ რეჟიმში სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამნრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებებისა და რეკომენდაციების დაცვით;
3. ფაკულტეტის დეკანებს მიეცეთ უფლება სასწავლო პროცესის არადისტანციურ რეჟიმში დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ ფაკულტეტზე აკრედიტებული საგანამანთლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლების სპეციფიკა;
4. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს ბრძანება დაიყვანონ თითოეულ სტუდენტამდე და აკადემიურ პერსონალამდე.
5. აწსუ-ში დისტანციურად სასწავლო პროცესი წარიმართოს ამ ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, უნივერსიტეტში არსებულ ონლაინ პლატფორმაზე (Microsoft teams, moodle);
6. დაევალოს ფაკულტეტის დეკანებს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და აღიცხვის განყოფილებას(უფროსი პროფ. გ. ბერძულიშვილი), ინფორმაციული ტექნოლოგიები მართვის სამსახურს(უფროსი ო. შენგელია), ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის, მატერიალური რესურსების განყოფილებას(უფროსი მ. საღინაძე), კიდევ ერთხელ

გადაამოწმონ რამდენად არის შესაბამისობაში სააუნივერსიტეტო სააუდიტორიო ფონდი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ მითითებებთან და რეკომენდაციებთან;

7. მიეცეთ რეკომენდაცია ფაკულტეტებს, რომ ლექცია - პრაქტიკუმების ჩატარება განახორციელონ, არსებული, დამტკიცებული სასწავლო ცხრილების დაცვით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ინდივიდუალური დროებითი ცხრილების ფორმირება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შეთანხმებით;
8. უნივერსიტეტის კანცელარიამ (ე. ცირეკიძე) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა ფაკულტეტების დეკანებთან, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და განთავსება უნივერსიტეტის ყველა კორპუსში თვალსაჩინო ადგილზე.
9. მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შ. კირთაძემ.

საფუძველი:, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 15 ოქტომბრის ბრძანება №992045.

რექტორი პროფესორი როლანდ კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი პროფესორი იმერ ბასილაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 6 20 0000992045

15/10/2020

„2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 15 ოქტომბრის N991932 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის N778305 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) 1^1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) 2020 წლის 19 ოქტომბრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა სასწავლო პროცესი წარმართონ დისტანციურ რეჟიმში.";

ბ) 1^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებენ ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი 2020 წლის 19 ოქტომბრიდან: